ქ. თბილისის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი №3

26 დეკემბერი, 2017 ქ.თბილისი,თავისუფლების მოედანი N2
12:00 საათი

<u>**სხდომას ესწრებოდნენ:**</u>

1. თედო ისაკაძე - კომისიის თავმჯდომარე;
2. გიორგი ახვლედიანი - კომისიის წევრი;
3. ილია ჯიშკარიანი - კომისიის წევრი;
4. შალვა ოგბაიძე - კომისიის წევრი;
5. რევაზ სოხაძე - კომისიის წევრი;
6. დავით უჯმაჯურიძე - კომისიის წევრი;
7. დავით რურუა - კომისიის წევრი;
8. მიხეილ ამაშუკელი - კომისიის წევრი;
9. ირაკლი ნადირაძე - კომისიის წევრი.

სხდომის დღის წესრიგი:

- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16 დეკემბრის № 30-87 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ (12/031735686-03, 22.12.2017)

კომისიის სხდომა ჩაითვალა უფლებამოსილად და შეუდგა მუშაობას დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების შესაბამისად.

სხდომას თავმჯდომარეობდა - **თედო ისაკაძე.**

კომისია წარიმართა ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო, სარევიზიო, ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა და განათლებისა და კულტურის კომისიებთან ერთად.

კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მომხსენებელი:

- **გაიოზ თალაკვაძე** - ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი.

გ.თალაკვაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ძირითადად ხორციელდება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 14 დეკემბრის N2615 განკარგულებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში მეტროპოლიტენის სადგურების კაპიტალური შეკეთებისა და ვაგონების მოდერნიზებასთან დაკავშირებული ღონისძიებების დაფინანსების მიზნით, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი 14 000,0 ათასი ლარის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტში ასახვის მიზნით. ამასთან, ფაქტიურად მიღებული შემოსავლების გათვალისწინებით იზრდება სხვა შემოსავლები სულ 10 307,6 ათასი ლარით, მათ შორის: მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის 8 225,6 ათასი ლარით, შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) – 482.9 ათასი ლარით და პროცენტები - 1 599,1 ათასი ლარით. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა იზრდება სულ 24 307,6 ათასი ლარით და შეადგენს 843 134,5 ათას ლარს. ბიუჯეტის შემოსავლების ზრდასთან ერთად იზრდება ბიუჯეტის გადასახდელებიც.

ასევე, წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების, რაიონის გამგეობებისა და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების დამატებითი მოთხოვნებისა და პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში მიღებული ეკონომიების გადანაწილების შესახებ წინადადებები. წარმოდგენილი წინადადებების საფუძველზე ბიუჯეტში მოძიებულმა რესურსმა შეადგინა 9 761,6 ათასი ლარი.

ზ/ა ცვლილებების საფუძველზე, იზრდება საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაციის პროგრამა (კოდი 01 02 02) 18 230,7 ათასი ლარით, მათ შორის: საქართველოს მთავრობის 2017 წლის 14 დეკემბრის N2615 განკარგულებით, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი 14 000,0 ათასი ლარით, ხოლო ბიუჯეტში მოძიებული რესურსის ხარჯზე - 4,230.7 ათასი ლარით.

ხოლო სახელშეკრულებო, სატენდერო და ფაქტიურად შესრულებული სამუშაოებიდან მიღებული ეკონომიების ხარჯზე მცირდება სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები (კოდი 01 02 01) - 763,9 ათასი

ლარით, მეტროს სადგურების რეკონსტრუქცია, მშენებლობა (კოდი 01 02 03) - 134,1 ათასი ლარით. ასევე, მცირდება ავტოსატრანსპორტო საშუალებათა პარკირების რეგულირება (კოდი 01 02 04) - 117,0 ათასი ლარით; ჯამში სატრანსპორტო ნაწილში ცვლილებები განისაზღვრა 1 015 000 ლარით.

აზრი გამოთქვეს:

ი.ნადირაძე - რა ღონისძიებები განხორციელდება საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაციის ქვეპროგრამით გათვალისწინებული 18 230,7 ათასი ლარით.

ლ.ხაბეიშვილი - რატომ იყო ერთი წლის განმავლობაში ვაგონშემკეთებელი ქარხანა გაჩერებული და ვინ იღებს პასუხისმგებლობას ამ საკითხთან დაკავშირებით.

მ. ჭამპურიძე - მომსახურეობის გაუმჯობესების მიზნით, დაგეგმილია მეტროს 14 ვაგონის შეკეთება და 2 ახალი შემადგენლობის შეძენა, რაც ხელს შეუწყობს მოძრაობის ინტერვალების შემცირებას 2,5 წუთამდე. მეტროს სისტემის გაუმჯობესება განხორციელდა წინა წლებშიც, ჩვენი მიზანია უფრო ეფექტური და მიმზიდველი გახდეს საზოგადოებრივი ტრანსპორტი.

რაც შეეხება ვაგონშემკეთებელ ქარხანას, მენეჯმენტის ცვლილების შემდეგ, დაახლოებით 7-8 თვის განმავლობაში განხორციელდა ტექნიკური თუ სხვა სახის სამუშაოები, რაც აუცილებელი იყო მისი გამართული ფუნქციონირებისათვის.

თ. ისაკაძე - წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტით მნიშვნელოვნად - 18 230,7 ათასი ლარით იზრდება საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაციის პროგრამა (კოდი 01 02 02). აღნიშნული ცხადჰყოფს, რომ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა/აღდგენა და მოწესრიგება კვლავ ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტად რჩება დედაქალაქისათვის. მეტროს ვაგონების მოდერნიზაციის შედეგად, გაუმჯობესდება მომსახურეობის ხარისხი, მგზავრთა გადაადგილება გახდება უფრო უსაფრთხო და კომფორტული.

სატრანსპორტო საკითხთა კომისია დადებითად აფასებს წარმოდგენილ ცვლილებებს და მიზანშეწონილად მიაჩნია მისი საკრებულოს სხდომაზე წარდგენა, რის თაობაზეც შემუშავებული იქნება შესაბამისი დასკვნა და გადაეგზავნება ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16 დეკემბრის № 30-87 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე წარდგენასთან დაკავშირებით.

ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 8; წინააღმდეგი - 1). გადაწყვიტეს:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი პროცედურების დაცვით, ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16 დეკემბრის № 30-87 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტზე სატრანსპორტო საკითხთა კომისიის მიერ შემუშავებული დასკვნა გადაეგზავნოს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსს.

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის
თავმჯდომარე — თედო ისაკაძე